“დინამო” (ტფილისი) - “ლოკომოტივი” (მოსკოვი) 2:1

30 ოქტომბერს შესდგა საბჭოთა პირველობის (“ა” ჯგუფის) უკანასკნელი მატჩი ტფილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ლოკომოტივს” შორის. შეჯიბრებამდე ტფილისელებს ჰქონდა 13 ქულა, ხოლო მოსკოველებს - 14 ქულა. მატჩს 30 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

მოსკოველები თავისი საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ, ტფილისელებმა დააყენეს სომოვი თავის მკვიდრ ადგილზე - მარჯვენა ფრთაზე, სომოვის ადგილზე სათადარიგო მოთამაშე ელიავა და ნახევარდაცვაში გამოიყვანეს გაგუა.

პირველმა ტაიმმა გაიარა ტფილისის უპირატესობით, რაც თანდათანობით უფრო აშკარა ხდებოდა. უკვე მე-6 წუთს სომოვი გადის ბურთით და ურტყამს მას... მეკარე გრანატკინის ხელებში. მე-10 წუთს ტფილისელთა კომბინაცია თავდება სომოვის სპრინტით, რომელიც უკან აწოდებს ბურთს და გაქანებულ მ. ბერძენიშვილს უძლიერესი დარტყმით გააქვს პირველი გოლი. ძველი ტფილისის ტრადიციისამებრ აღტაცებული მაყურებელი აუშვებს მტრედს. მოსკოველთა იერიშებს მტკიცედ აჩერებენ “დინამოს” უკანა რაზმელები, რომელთა შორის შ. შავგულიძე გაცილებით უკეთესად თამაშობს, ვიდრე უკანასკნელ შეხვედრებში. ტფილისელები მთლად ამწყვდევენ მოწინააღმდეგეს მის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ მეკარე გრანატკინი მშვენივრად თამაშობს და იჭერს რამდენიმე უტყუარ ბურთს.

მეორე ტაიმშიც გრძელდება ტფილისის უპირატესობა, თუმცა “ლოკომოტივი” ახლა უფრო ენერგიულად თამაშობს. მე-27 წუთს ინდივიდუალური გარღვევის შედეგად პაიჭაძეს გააქვს მეორე ბურთი. ტფილისი თითქოს მოიქანცა. მოსკოველები ხელთ იგდებენ ინიციატივას და მე-31 წუთს კორნერიდან გააქვთ ერთი გოლი. ტფილისის მიერ აშკარა უპირატესობით ჩატარებული და მართებულად მოგებული თამაში 2:1-ით თავდება.

მოსკოველთა შორის მშვენივრად თამაშობდა მეკარე გრანატკინი. ტფილისელები კი თითქმის ყველანი კარგად თამაშობდნენ, თუმცა პაიჭაძე ვერ იყო ხასიათზე. ელიავაზე საბოლოო მსჯავრის გამოტანა ჯერ ნაადრევია. სასიამოვნოა, რომ შ. შავგულიძე ისევ კარგად თამაშობს და რომ გაგუას ფეხბურთი არ დავიწყებია, თუმცა მას მეტი თავდაჭერილობა ჰმართებს.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, მოსკოვის “სპარტაკმა” გუშინ მოუგო ც.დ.კ.ა”-ს 3:1-ით, მაშასადამე მიიღო 17 ქულა და მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელწოდება. ტფილისისა და მოსკოვის “დინამოს” გუნდები თექვსმეტ-თექვსმეტ ქულით იყოფენ მე-2 და მე-3 ადგილს. დანარჩენი ადგილები ჯერ გამოურკვეველია.

“კომუნისტი”, 1 ნოემბერი, 1936 წ.